585
1988

ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებნო,
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 3

1988

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (572) მარტი 1988 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

34. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება დაჯილდოების ფურცლის ნიმუშის დამტკიცების შესახებ.
35. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.
36. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. ალიევერდიევის საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
37. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირადი საკუთრებაში მყოფი პირუტყვის ნორმების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
38. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ.
39. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.
40. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების დადგენილი წესის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ.
41. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

42. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მეფლიბარი ფიოდორი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
43. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ა. ზეერსის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
44. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამერკაკასის წიოლერროშოვანი სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
45. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ზ. პ. სოლოვიოვის სახელობის სოოლქო სამხედრო ჰოსპიტლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
46. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
47. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. დ. ნ. დვალიშვილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
48. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. დ. ზაიცევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
49. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. გ. იაკუკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
50. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ს. კიბაბიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
51. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ი. კიკვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
52. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ტ. ვ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
53. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ი. სიანსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
54. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ფ. ვ. ჯიოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
55. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. ვ. ჯობავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

56. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ფ. ბურბულტროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

57. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამედიცინო სამსახურის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

58. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კულტურის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

59. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

60. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ნ. გრაბოვოსათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

61. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. კ. პაპანაშვილისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

62. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. სარქისოვისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

63. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. შ. ცხოვრებაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

ეროვ. სსრ ბ. ბიბლ. სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

34 დაჯილდოების ფურცლის ნიმუშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს დაჯილდოების ფურცლის ნიმუში[1].

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის, საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნისა და საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულებების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 13 ივნისის გრძანებულების მე-2 მუხლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. ბილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი. 1988 წლის 14 მარტი.
№ 1618—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

35 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია 1988 წლის 2 აპრილს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. ბილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი. 1988 წლის 15 მარტი.
№ 1619—XI

---

[1] ერთვის დადგენილების დედანს.

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

36 ამბ. ა. ა. ალახვერდიანის საქართველოს სსრ ნაგთობგაზრიდუმგბით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

განთავისუფლდეს ამბ. აჯიბაგირ აჯი ოღლი ალახვერდიანი საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1641—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

37 „მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის ნორმების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარების უზრუნველსაყოფად პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულება „მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის ნორმების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 36, მუხ. 658).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1640—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დრძანებულება

38 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ

„რადიოაქტიური მასალების მიმართ უკანონო მოქმედებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 3 მარტის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

I. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 ივლისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10; 1987 წ., № 9, მუხ. 217) შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

1. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 251^2, 251^3, 251^4 და 251^5 მუხლები:

„მუხლი 251^2. რადიოაქტიური მასალების უკანონო შეძენა, შენახვა, გამოყენება, გადაცემა ან დაშლა

რადიოაქტიური მასალების (მაიონიზებელი გამოსხივების წყაროების, ნებისმიერ ფიზიკურ მდგომარეობაში დანადგარსა და ნაკეთობაში ან სხვა სახით არსებული რადიოაქტიური ნივთიერებების ან ბირთვული მასალების) უკანონო შეძენა, შენახვა, გამოყენება, გადაცემა ან დაშლა —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

იგივე ნოქმედება, თუ მას მოჰყვა ადამიანების დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე.

მუხლი 251^3. რადიოაქტიური მასალების გატაცება

რადიოაქტიური მასალების გატაცება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

მუხლი 251^4. რადიოაქტიური მასალების გატაცების ან გამოყენების მუქარა

რადიოაქტიური მასალების გატაცების ჩადენის მუქარა იმ მიზნით, რომ აიძულოს სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ფიზიკური ან იურიდიული პირი შეასრულოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს მისგან, თუ არსებობდა ამ მუქარის განხორციელების საფრთხე, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

ადამიანების დაღუპვის ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევის მიზნით რადიოაქტიური მასალების გამოყენების მუქარა, თუ არსებობდა ამ მუქარის განხორციელების საფრთხე, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 251[5]. რადიოაქტიური მასალების შენახვის, გამოყენების, აღრიცხვის, გადაზიდვის წესების ან მათთან მოპყრობის სხვა წესების დარღვევა

რადიოაქტიური მასალების შენახვის, გამოყენების, აღრიცხვის, გადაზიდვის წესების ან მათთან მოპყრობის სხვა წესების დარღვევა, თუ ამ მოქმედებას შეიძლება მოჰყოლოდა ადამიანების დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ან ჯარიმით სამას მანეთამდე.

იგივე მოქმედება, თუ მას მოჰყვა ადამიანების დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე".

2. 8[1] მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „(242[2] მუხლი)" შემდეგ დამატოს სიტყვები „რადიოაქტიური მასალების გატაცება (251[3] მუხლი)".

3. 44-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველ და მეორე პუნქტებს სიტყვების „(242[2] მუხლი)" შემდეგ დამატოს სიტყვები „რადიოაქტიური მასალების გატაცებისთვის (251[3] მუხლი)";

4. 54-ე მუხლის მეექვსე ნაწილს სიტყვების „(189-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები, 189[1] და 190-ე მუხლების მეორე ნაწილები)" შემდეგ დამატოს სიტყვები „რადიოაქტიური მასალების გატაცებისთვის (251[3] მუხლი)".

5. 55-ე მუხლის მეექვსე ნაწილის მე-2 პუნქტს სიტყვების „(242[2] მუხლი)" შემდეგ დამატოს სიტყვები „რადიოაქტიური მასალების გატაცებისთვის (251[3] მუხლი)".

6. 248-ე მუხლის სათაურიდან და პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან რადიოაქტიურ".

7. 205-ე მუხლის მეორე ნაწილში ციფრები „133[1] და 242[2]" შეიცვალოს ციფრებით „133[1], 242[2], 251[2], 252[3]".

8. 206-ე მუხლს სიტყვების „(საჰაერო ხომალდის გატაცება)" შემდეგ დამატოს სიტყვები „251[2] (რადიოაქტიური მასალების უკანონო შეძენა, შენახვა, გამოყენება, გადაცემა ან დაშლა), 251[3] (რადიოაქტიური მასალების გატაცება)".

II. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 251[2], 251[3], 251[4] და 251[5] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების გამოძიებას აწარმოებენ შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11; 1987 წ., № 16, მუხ. 250) 126-ე მუხლის მეოთხე ნაწილს სიტყვებს „250[1] მუხლის მეორე ნაწილით“ შემდეგ დაემატოს ციფრები „251[2], 251[3], 251[4], 251[5]“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 22 მარტი.
№ 1645—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

39 კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს დებულება კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის შესახებ.

2. დაწესდეს, რომ ეს დებულება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდანვე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 22 მარტი.
№ 1646—XI

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲓᲔᲒᲣᲚᲔᲑᲐ

კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის შესახებ

I. ზოგადი დებულებები

1. სსრ კავშირის კონსტიტუცია და საქართველოს სსრ კონსტიტუცია ხალხის ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა და განვითარების მიზნით მოქალაქეებს აძლევს კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების გარანტიებს. ამ პოლიტიკურ თავისუფლებათა განხორციელება უზრუნველყოფილია მოქალაქეთა და მათი ორგანიზაციებისათვის საზოგადოებრივი შენობების, ქუჩების, მოედნებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დათმობით.

2. კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ჩატარებისას გარანტირებულ უნდა იქნეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, საბჭოთა კანონების, სოციალისტური თანაცხოვრების წესების, მორალისა და ზნეობრიობის ნორმების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

3. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს სსრ საზოგადოებრივ შენობებში, ქუჩებში, მოედნებზე, პროსპექტებზე, პარკებში, ბაღებში, სკვერებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

II. კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების ორგანიზაციის წესი

4. კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის, დემონსტრაციების ჩასატარებლად თანხმობისათვის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მიმართავენ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების, კოოპერაციული ორგანიზებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისა და მოქალაქეთა ცალკეული ჯგუფების ინიციატორები.

რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში, დაბაში, სასოფლო დასახლებულ პუნქტში აღნიშნულ ორგანიზებათა ჩატარებისას ნებართვა გაიცემა სახალხო დეპუტატთა რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონული, დაბის, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ხოლო ორი ან მეტი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზე — ზემდგომი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს მიერ.

საჭირო არ არის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეცნობოს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების, მათში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲘᲔᲠ ᲛᲐᲗᲘ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲡᲮᲕᲐ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐᲐᲛᲑᲝᲜᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲩᲐᲡᲐᲮᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲦᲝᲜᲔᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

5. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲧᲝᲤᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ, ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ, ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲪᲐᲡᲒᲚᲘᲡ:

— ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ, ᲤᲝᲠᲛᲘᲡ, ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲐᲜ ᲡᲔᲚᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ, ᲙᲠᲔᲑᲘᲡ, ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ, ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ;

— ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚ ᲞᲘᲠᲗᲐ (ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ) ᲒᲕᲐᲠᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲛᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲛᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲠᲘᲡ, ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲐᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ, ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲨᲘ ᲔᲠᲗᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲣᲛᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ, ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ, ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ, ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲛᲝᲜᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ;

6. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲪᲐᲡᲑᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ, ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ, ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲡᲐᲜ ᲐᲠᲐ ᲣᲒᲐᲜᲘᲡᲣᲚ 7 ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲓᲠᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡᲓᲐᲜ ᲗᲣᲗᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲕᲐᲓᲐᲨᲘ.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲒᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ, ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ, ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲡ.

7. ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲙᲠᲔᲓᲐᲚᲐᲕᲡ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ, ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ, ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ, ᲗᲣ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲬᲘᲜᲐᲦᲐᲛᲓᲔᲑᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲗᲐ ᲓᲠᲝᲕᲔᲑᲘᲗᲐ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲗ.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ, ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ, ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲣᲐᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ, ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ, ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲣᲐᲠᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲡᲐᲩᲘᲠᲔᲑᲚᲘᲡ 5 ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲐᲦᲛᲙᲠᲗᲔᲑᲔᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ 10 ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ, ᲓᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ.

III. ᲙᲠᲔᲑᲘᲡ, ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ, ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ

ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲔᲑᲘ, ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲗᲘᲛᲔᲣᲚ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲘᲝᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ.

ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ, ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲔᲑᲘᲡ, ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲣᲓᲛᲘᲒᲐᲓ ᲔᲡᲬᲠᲔᲑᲝᲜᲓᲜᲔᲡ ᲛᲐᲗ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრება, მიტინგი, ქუჩის მსვლელობა, დემონსტრაცია უნდა შეწყდეს, თუ ხალხი დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, შინაგან საქმეთა ორგანოს წარმომადგენელთა ითხოვენით ამ შემთხვევაში, თუ დაირღვა ამ დებულებით გთვალისწინებული მისი ჩატარების წესი, შეიქმნა მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, ტრანსპორტის, სხვა სამსახურების ნორმალური ფუნქციონირების საშიშროება.

IV. პასუხისმგებლობა კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დარღვევისათვის

საქართველოს სსრ საზოგადოებრივ შენობებში, ქუჩებში, მოედნებზე, პროსპექტებზე, პარკებში, ბაღებში, სკვერებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების დადგენილი წესის დამრღვევი პირები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 206[3] მუხლით, რომელიც ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით 2 წლამდე, ანდა ჯარიმას სამას მანეთამდე, აგრეთვე „კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების დადგენილი წესის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესაბამისად).

კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების ჩატარებისას მათ მონაწილეთა მიერ სახელმწიფოს, კოოპერაციული, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მოქალაქეებისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი უნდა ანაზღაურდეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

40 კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების დადგენილი წესის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ საზოგადოებრივ შენობებში, ქუჩებში, მოედნებზე, პროსპექტებზე, პარკებში, ბაღებში, სკვერებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების დადგენილი წესის დარღვევაში ბრალეულ პირებს დაედებათ ადმინისტრაციული სახელი გაფრთხილების ან ორმოცდაათ მანეთამდე ჯარიმის სახით.

ამ გრძანებულებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები.

ამ გრძანებულებით გათვალისწინებულ დარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, შინაგან საქმეთა ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები, სახალხო რაზმელები.

2. ამ გრძანებულების I მუხლის შესაბამისად შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 420) შემდეგი დამატებები:

ა) დამატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 174[1] მუხლი:

„**მუხლი 174[1].** საზოგადოებრივ შენობებში, ქუჩებში, მოედნებზე, პროსპექტებზე, ბაღებში, სკვერებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების დადგენილი წესის დარღვევა

საზოგადოებრივ შენობებში, ქუჩებში, მოედნებზე, პროსპექტებზე, ბაღებში, სკვერებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების დადგენილი წესის დარღვევა —

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ორმოცდაათ მანეთამდე“;

ბ) 205-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებს ციფრის „174“ შემდეგ დამატოს ციფრი „174[1]“;

გ) 246-ე მუხლის I პუნქტს სიტყვების „ზერილმანი ხელოვნების, მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადმი ბოროტად დაუმორჩილებლობის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დარღვევის“.

3. ეს ბრძანებულება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდანვე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 22 მარტი.
№ 1647—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

41 საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირის შრომის კანონმდებლობაში ეკონომიკის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებული ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 4 თებერვლის ბრძანებულების შესაბამისად და რესპუბლიკური კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1973 წლის 28 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 6, მუხ. 118; 1980 წ., № 10, მუხ. 287; 1982 წ., № 5, მუხ. 131; 1983 წ., № 11, მუხ. 370; 1985 წ., № 2, მუხ. 26; 1986 წ., № 6, მუხ. 140) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1) პირველი მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას“;

2) მე-2 მუხლის მეოთხე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ყველა მუშისა და მოსამსახურის მოვალეობაა იშრომოს კეთილსინდისიერად, დაიცვას შრომის დისციპლინა, გაუფრთხილდეს სახალხო დოვლათს, შეასრულოს სახელმწიფოს მიერ პროფესიული კავშირების მონაწილეობით დაწესებული შრომის ნორმები, აამაღლოს შრომის ნაყოფიერება, პროფესიული ოსტატობა, მუშაობისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხი“;

3) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების წევრთა შრომის მოწესრიგება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების წევრთა შრომას აწესრიგებს კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების, კოოპერატივის სანიმუშო წესდების საფუძველზე და შესაბამისად მიღებული მათი წესდებები, აგრეთვე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა, რომელიც კოლმეურნეობებს და სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციებს ეხება";

4) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. შრომის ხელშეკრულების იმ პირობათა მათილობა, რომლებიც აუარესებენ მუშათა და მოსამსახურეთა მდგომარეობას

შრომის ხელშეკრულების პირობები, რომლებიც აუარესებენ მუშათა და მოსამსახურეთა მდგომარეობას სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობასთან შედარებით, მათილია.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება აქვს შრომითი კოლექტივის საბჭოსა და პროფკავშირის კომიტეტთან ერთად, საკუთარი სახსრების ხარჯზე, დაადგინოს კანონმდებლობასთან შედარებით დამატებითი შრომითი და სოციალურ-საყოფაცხოვრებო შეღავათები კოლექტივის მუშაკების ან მუშებისა და მოსამსახურეების ცალკეული კატეგორიებისათვის";

5) მე-7 მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კოლექტიური ხელშეკრულების დადებას წინ უძღვის მისი პროექტის განხილვა შრომითი კოლექტივის კრებაზე (კონფერენციაზე). საერთო კრება (კონფერენცია) იწონებს კოლექტიურ ხელშეკრულებას და რწმუნებას აძლევს პროფკავშირის კომიტეტს ადმინისტრაციასთან ერთად შრომითი კოლექტივის სახელით ხელი მოაწეროს მას";

6) მე-8 მუხლს მესამე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„კოლექტიური ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს სხვა დებულებებსაც, რომლებიც შეეხება საწარმოს, ორგანიზაციის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას";

მეოთხე ნაწილი ჩაითვალოს მეხუთე ნაწილად;

7) მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. კოლექტიური ხელშეკრულების დადებისა და შეცვლის დროს წარმოქმნილი უთანხმოებანი

კოლექტიური ხელშეკრულების დადებისა და შეცვლის დროს საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და პროფკავშირის კომიტეტს შორის წარმოქმნილ უთანხმოებას გადაწყვეტენ ზემდგომი სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციის ადმინისტრაციის, შრომითი კოლექტივისა და პროფკავშირის კომიტეტის მონაწილეობით";

8) დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 19[1] მუხლი:

„მუხლი 19[1]. შრომის ხელშეკრულება საპენსიო ასაკს მიღწეულ მუშებსა და მოსამსახურეებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება აქვს პროფკავშირის კომიტეტთან ერთად შრომითი ურთიერთობა შეინარჩუნოს სპენსიონ ასაკს მიღწეულ მუშებსა და მოსამსახურეებთან, თუ ისინი კეთილსინდისიერად, სრული ძალისხმევით მუშაობენ, აქვთ შრომის მაღალი შედეგები და კოლექტივში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობენ. სხვა მუშაკებთან, რომლებმაც მიაღწიეს სპენსიონ ასაკს და გააჩნიათ სრული პენსიის დასანაშაულად აუცილებელი სტაჟი, შრომითი ურთიერთობა გაგრძელდება მხარეთა შეთანხმებით ვადიანი შრომის ხელშეკრულების დადების (ხელახლა დადების) გზით (ორ წლამდე ვადით) ან შეწყდება ადმინისტრაციის ინიციატივით პროფკავშირის კომიტეტის თანხმობით (ამ კოდექსის 34-ე მუხლის 1[1] პუნქტი).

სპენსიონ ასაკს მიღწეულ პირთა დათხოვნის ეს წესი არ ვრცელდება თანამდებობაზე შრომითი კოლექტივის მიერ არჩეულ მუშაკებზე, აგრეთვე იმ პირებზე, რომელთა მიმართ კანონმდებლობით დადგენილია ასაკის გამო სამუშაოდან განთავისუფლების სხვა წესი";

9) 23-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საგამოცდო ვადა, თუ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დაწესებული, არ შეიძლება აღემატებოდეს სამ თვეს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, შესაბამის პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით, — ექვს თვეს";

ამოღებულ იქნეს მეორე ნაწილი და ბესამე-მეოთხე ნაწილები შესაბამისად ჩაითვალოს მეორე და მესამე ნაწილებად;

10) 26-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 26.** სხვა სამუშაოზე გადაყვანა. შრომის არსებითი პირობების შეცვლა

სხვა სამუშაოზე გადაყვანა იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, აგრეთვე სამუშაოდ გადაყვანა სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ან ტერიტორიულად სხვა ადგილს, თუნდაც საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან ერთად, დასაშვებია მხოლოდ მუშის თუ მოსამსახურის თანხმობით ამ კოდექსის 27-ე, 28-ე და 135-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

სხვა სამუშაოზე გადაყვანილად არ ითვლება და მუშაკის თანხმობას არ საჭიროებს მისი გადანაცვლება იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ტერიტორიულად იგივე ადგილს მდებარე სხვა სამუშაო ადგილას, სხვა სტრუქტურულ ქვეგანყოფილებაში, მუშაობის დაკისრება სხვა მეკანიზმსა თუ აგრეგატზე შრომის ხელშეკრულებით განპირობებული სპეციალობის, კვალიფიკაციის ან თანამდებობის ფარგლებში. ადმინისტრაციას უფლება არა აქვს გადაანაცვლოს მუშა ან მოსამსახურე მისი ჯანმრთელობისათვის მავნე სამუშაოზე.

წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში ცვლილებებთან დაკავშირებით დასაშვებია შრომის არსებითი პირობების შეცვლა იმავე სპეციალობით, კვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ-კაცით ან იმავე თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელებისას. შრომის ანაზღაურების სებითი პირობების — შრომის ანაზღაურების სისტემებისა და ოდენობის, შეღავათების, მუშაობის რეჟიმის შეცვლის, აოსრული საშუშაო დროის დაწესების ან გაუქმების, პროფესიების შეთავსების, თანრიგებისა და თანამდებობათა დასახელების შეცვლისა და სხვ. შესახებ მუ'ძაკების უსდა აცნობონ არა უგვიანეს ორი თვისა.

თუ ადრინდელი შრომის არსებითი პირობები არ შეიძლება შენარჩუნებული ექნეს, ხოლო მუშაკი თანხმა არ არის გაგრძელოს ნუშაობა ახალ პირობებში, შრომის ხელშეკრულება წყვეტდება ამ კოდექსის 30-ე მუხლის მე-6 პუნქტით";

11) 30-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6) მუშის ან მოსამსახურის უარი საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან ერთად ტერიტორიულად სხვა ადგილას სამუშაოდ გადასვლაზე, ავრეთვე უარი მუშაობის გაგრძელებაზე შრომის არსებითი პირობების შეცვლასთან დაკავშირებით";

12) 34-ე მუხლში:

პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹) მოხუცებულობის გამო სრული პენსიის უფლების მქონე მუშაკის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევისას";

პირველი ნაწილის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7) საშუშაოზე გამოცხადება აოაფხიზელ მდგომარეობაში, ნარკოტიკული ან ტოქსიკური ნივთიერების მდგომარეობაში";

13) 37-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 37. ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლის აკრძალვა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტის თანხმობის გარეშე

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლა დაუშვებელია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტის თანხმობის გარეშე, სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარეშე.

ადმინისტრაციას უფლება აქვს მოშალოს შრომის ხელშეკრულება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტის თანხმობის მიღების დღიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, ხოლო ამ კოდექსის 34-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტებში მითითებული საფუძვლებით დათხოვნისას — ერთი თვის განმავლობაში დღიდან გადაცდომის გამომჟღავნებისა, ამ კოდექსის 34-ე მუხლის მე-8 პუნქტში მითითებული საფუძვლით დათხოვნისას — ერთი თვის განმავლობაში განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის ან იმ ორგანოს მიერ დადგენილების გამოტანის დღიდან, რომლის კომპეტენციაში შედის ადმინისტრაციული სასჯელის დადება ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენება";

საქ. სსრ ს. მარქსის სახ. სახ. უნივ. ბიბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14) 38-ე მუხლში ციფრი „1-ლი“ შეიცვალოს ციფრით „11“;

15) 39-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის წინადადება:

„შრომითი კოლექტივის მიერ თანამდებობაზე არჩეულ ხელმძღვანელ მუშაკს პროფკავშირული ორგანოს (არანაკლებ რაიონულისა) მოთხოვნით გათავისუფლებენ შესაბამისი შრომითი კოლექტივის საერთო კრების (კონფერენციის) ან მისი რწმუნებით — შრომითი კოლექტივის საბჭოს გადწყვეტილების საფუძველზე“;

16) მე-40 მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუშაკს, რომელიც სამუშაოზე არაფიზიკურ მდგომარეობაში, ნარკოტიკული ან ტოქსიკური სიმთვრალის მდგომარეობაში ვამოცხადდება, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია იმ დღეს (იმ ცვლაში) არ დაუშვებს სამუშაოზე“;

17) 45-ე მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დაწესებულია ხუთდღიანი სამუშაო კვირა ორი დასვენების დღით. ხუთდღიანი სამუშაო კვირის დროს ყოველდღიური მუშაობის (ცვლის) ხანგრძლივობა განისაზღვრება შრომის შინაგანაწესით ან ცვლიანობის განრიგით, რომლებსაც ამტკიცებს ადმინისტრაცია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით, სამუშაოს სპეციფიკის, შრომითი კოლექტივის აზრის გათვალისწინებით და სამუშაო კვირის დადგენილი ხანგრძლივობის დაცვით (43-ე და 44-ე მუხლები)“;

მუხლს მეორე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„ხუთდღიან ან ექვსდღიან სამუშაო კვირას საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია დაუწესებს პროფკავშირის კომიტეტთან ერთად სამუშაოს სპეციფიკის, შრომითი კოლექტივის აზრის გათვალისწინებით და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოსთან შეთანხმებით“;

მესამე ნაწილი ჩაითვალოს მეოთხე ნაწილად;

18) 51-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუშაკები ერთმანეთს თანაბრად ენაცვლებიან ცვლის მიხედვით. ერთი ცვლიდან მეორეში გადასვლა განისაზღვრება ცვლიანობის განრიგით, რომელსაც ამტკიცებს ადმინისტრაცია პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით, სამუშაოს სპეციფიკისა და შრომითი კოლექტივის აზრის გათვალისწინებით“;

19) 63-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 63. კომპენსაცია დასვენების დღეს მუშაობისათვის

დასვენების დღეს მუშაობა, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ანაზღაურებულ იქნეს სამაგიერო დასვენების დღის მიცემით ან ფულადი სახით ორმაგად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასვენების დღეს მუშაობის ანაზღაურება გამოანგარიშებული უნდა, ანუ ნეს ამ კოდექსის 87-ე მუხლით გათვალისწინებული წესით";

20) 78-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„საკვალიფიკაციო თანრიგს პირველ რიგში მოემატებენ იმ მუშებს, რომლებიც წარმატებით ასრულებენ შრომის ნორმებს და კეთილსინდისიერად ეკიდებიან თავიანთ შრომითს მოვალეობებს. თანრიგის მომატების უფლებით სარგებლობენ მუშები, რომლებიც წარმატებით შეასრულებენ უფრო მაღალი რანგის სამუშაოებს არა ნაკლებ სამი თვის განმავლობაში და ჩაბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდას. ტექნოლოგიური დისციპლინის უხეში დარღვევისა და სხვა სერიოზული დარღვევებისათვის, რასაც პროდუქციის ხარისხის გაუარესება მოჰყვა, მუშას შეიძლება ერთი თანრიგით ჩამოაკლონ კვალიფიკაცია. თანრიგის აღდგენა ხდება საერთო წესით, მაგრამ არაუადრეს სამი თვის შემდეგ მისი ჩამოკლებიდან";

21) 79-ე მუხლის ჰეორე ნაწილს დაემატოს სიტყვები:

„ატესტაციის შედეგების მიხედვით ადმინისტრაციას უფლება აქვს მოსამსახურეებს შეუცვალოს თანამდებობრივი განაკვეთები მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში შესაბამისი თანამდებობისა და კატეგორიის მიხედვით";

22) 81-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 81. შრომის ანაზღაურების სისტემები

მუშებისა და მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება ხდება დროებლივად, ნარდობლივად ან შრომის ანაზღაურების სხვა სისტემების მიხედვით. ანაზღაურება შეიძლება მუშაობის ინდივიდუალური და კოლექტიური შედეგებისათვის.

გეგმებისა და სახელმეკრულებო ვალდებულებების შესრულებით, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებით მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური დაინტერესების გასაძლიერებლად შეიძლება შემოღებულ იქნეს პრემირების სისტემები, გასამჯელო წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით, მატერიალური წახალისების სხვა ფორმები.

შრომის ანაზღაურების სისტემებსა და მატერიალური წახალისების ფორმებს დაადგენს, პრემირებისა და წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით გასამრჯელოს გადახდის შესახებ დებულებებს დამამტკიცებს საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით.

თითოეული მუშაკის ხელფასი განისაზღვრება მუშაობის საბოლოო შედეგებით, მუშაკის პირადი შრომითი წვლილით და მაქსიმალური ოდენობით არ იფარგლება";

23) 90-ე, 91-ე და 92-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 90. ანაზღაურების წესი მოცდენის, აგრეთვე ახალი წარმოების (პროდუქციის) ათვისების დროს

სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად მოცდენის დრო, რაც მუშის ან მოსამსახურის ბრალით არ არის გამოწვეული, თუ მუშაკმა მოცდენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყების შესახებ გააფრთხილა ადმინისტრაცია (ბრიგადირი, ოსტატი-ბრიგადა თანამდებობის პირი), **ანაზღაურდება** მუშაკისათვის დადგენილი თარიგის (სარგოს) სატარიფო განაკვეთის არანაკლებ ორი მესამედის ოდენობით.

მუშაკს მისი ბრალით გამოწვეული მოცდენის დრო არ აუნაზღაურდება.

ახალი წარმოების (პროდუქციის) ათვისების პერიოდში ადმინისტრაციას **შეუძლია** მუშას არა უმეტეს ექვსი თვის ძანძილზე მისცეს დანამატი უწინდელი საშუალო ხელფასის ოდენობამდე.

მუხლი 91. შრომის ანაზღაურება წუნდებული პროდუქციის გამოშვების დროს

სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, თუ დამზადებული პროდუქცია წუნდებული აღმოჩნდა, რაც მუშის ან მოსამსახურის ბრალით არ არის გამოწვეული, მის დასამზადებლად გაწეული შრომის ანაზღაურება ხდება შემცირებული ფასდებით. ამ შემთხვევაში მუშის ან მოსამსახურის თვიური ხელფასი არ შეიძლება იყოს მისთვის დაწესებული თარიგის (სარგოს) სატარიფო განაკვეთის ორ მესამედზე ნაკლები.

დასამუშავებელი მასალის ფარული დეფექტით გამოწვეული ნაწარმის წუნი, აგრეთვე ტექნიკური კონტროლის ორგანოს მიერ ნაწარმის მიღების შემდეგ აღმოჩენილი წუნი, რაც მუშაკის ბრალით არ არის გამოწვეული, ამ მუშაკს აუნაზღაურდება ვარგისი ნაწარმის თანაბრად.

მუშის ან მოსამსახურის ბრალით გამოწვეული მთლიანი წუნი არ ანაზღაურდება.

მუხლი 92. შრომის ანაზღაურება გამომუშავების ნორმების შეუსრულებლობის დროს

გამომუშავების ნორმების შეუსრულებლობის დროს, რაც მუშის ან მოსამსახურის ბრალით არ არის გამოწვეული, შრომა ანაზღაურდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოსათვის. ამ შემთხვევაში თვიური ხელფასი არ შეიძლება იყოს მისთვის დაწესებული თარიგის (სარგოს) სატარიფო განაკვეთის ორ მესამედზე ნაკლები. გამომუშავების ნორმების შეუსრულებლობისას, რაც მუშის ან მოსამსახურის ბრალით არ არის გამოწვეული, ანაზღაურება ხდება შესრულებული სამუშაოს შესაბამისად";

24) 93-ე მუხლში:

სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 93.** ხელფასის შენარჩუნება სხვა მუდმივ დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანისა და გადანაცვლების დროს";

დამატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„იმ შემთხვევებში, როდესაც მუშას ან მოსამსახურეს გადანაცვლების შედეგად (26-ე მუხლის მეორე ნაწილი), მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, ხელფასი უმცირდება, აძლევენ დანამატს უწინდელი საშუალო ხელფასის ოდენობამდე გაღანაცვლების დღიდან ორი თვის განმავლობაში";

ეროვნული ბიბლიოთეკა

25) 98-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 98. პასუხისმგებლობა შრომის წიგნაკის გაცემის დაყოვნებისათვის

ადმინისტრაციის ბრალით შრომის წიგნაკის გაცემის დაყოვნებისას მუშაკს ეძლევა საშუალო ხელფასი იძულებითი გაცდენის მთელი დროისათვის“;

26) 101-ე და 102-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 101. შრომის ნორმები

შრომის ნორმები — გამომუშავების, დროის, მომსახურების, რაოდენობის ნორმები — მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დაწესდება ტექნიკის, ტექნოლოგიის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მიღწეული დონის შესაბამისად.

შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების კოლექტიური ფორმების პირობებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე გამსხვილებული და კომპლექსური ნორმები.

შრომის ნორმები აუცილებლად უნდა შეიცვალოს ახლით ატესტაციის და სამუშაო ადგილების რაციონალიზაციის ჩატარების, ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და იმ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვის კვალობაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ცალკეული მუშაკების, ბრიგადების მიერ საკუთარი ინიციატივით შრომის ახალი ხერხებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენების, საკუთარი ძალებით სამუშაო ადგილების სრულყოფის ხარჯზე პროდუქციის გამომუშავების მაღალი დონის მიღწევა არ წარმოადგენს ნორმების გადასინჯვის საფუძველს.

მუხლი 102. შრომის ნორმების შემოღება, შეცვლა და გადასინჯვა

შრომის ნორმების შემოღებას, შეცვლას და გადასინჯვას ახორციელებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით.

ახალი შრომის ნორმების შემოღება მუშებსა და მოსამსახურეებს უნდა ეცნობოს არა უგვიანეს ერთი თვისა ამ ნორმების შემოღებამდე“;

27) 104-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 104. ერთიანი და ტიპობრივი ნორმების შეცვლა და გადასინჯვა

ერთიანი და ტიპობრივი (დარგთაშორისი, დარგობრივი, უწყებრივი) ნორმების შემოღებას და გადასინჯვას ახორციელებენ მათი დამამტკიცებელი ორგანოები“;

28) 107-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 107. მომსახურების ნორმირებული დაკალებებისა და ნორმების დაწესება

დროებითი ანაზღაურებისას მუშებსა და მოსამსახურეებს უწესდებათ ნორმირებული დაკალებები. ცალკეული ფუნქციებისა და სამუშაოს მოცულობის შესასრულებლად შეიძლება დაწესდეს მომსახურების ნორმები ან მუშაკთა რაოდენობის ნორმები“.

29) 128-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის დისციპლინას უზრუნველყოფს ნორმალური მაღალნაყოფიერი შრომისათვის აუცილებელი ორგანიზაციული და ეკონომიკური პირობების შექმნა, შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება, დარღვევების, აღრდის მეთოდები, აგრეთვე წახალისება კეთილსინდისიერი შრომისათვის“;

30) 135-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-4 პუნქტის მეორე აბზაცში სიტყვები „არაფხიზელ მდგომარეობაში“ შეიცვალოს სიტყვებით „არაფხიზელ მდგომარეობაში, ნარკოტიკული ან ტოქსიკური გაბრუების მდგომარეობაში“;

31) 136-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეექვსე ნაწილი:

„შრომითი დავის განმხილველ ორგანოს უფლება აქვს გაითვალისწინოს ჩადენილი გადაცდომის სიმძიმე, მისი ჩადენის გარემოებები, მუშის ან მოსამსახურის წინანდელი მუშაობა და ყოფაქცევა, აგრეთვე დისციპლინური სასჯელის შესაბამისობა ჩადენილი გადაცდომის სიმძიმესთან“;

32) 204-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეხუთე ნაწილი:

„სამუშაოზე აღდგენაზე უარისთქმის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ან ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროიდან ერთი წლის განვლის შემდეგ შეტანილი საჩივრები არ განიხილება“;

33) 206-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 206. სამუშაოზე აღდგენა

კანონიერი საფუძვლის გარეშე დათხოვნის ან სხვა სამუშაოზე უკანონოდ გადაყვანის დროს მუშა ან მოსამსახურე წინანდელ სამუშაოზე უნდა აღდგენოს შრომითი დავის განმხილველმა ორგანომ.

თუ მუშაკი დაითხოვეს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტის თანხმობის გარეშე, შრომითი დავის განმხილველმა ორგანომ უნდა გადადოს მისი გადაწყვეტა პროფკავშირის კომიტეტის მიერ მუშაკთან შრომის ხელშეკრულების მოშლაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვამდე. მუშაკის დათხოვნაზე თანხმობის მიუცემლობის შემთხვევაში პროფკავშირის კომიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას მისი სამუშაოზე აღდგენის შესახებ“;

34) 216-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 216. შრომის პირობების დაწესების ან შეცვლის საკითხებზე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტსა და ადმინისტრაციას შორის არსებული უთანხმოების განხილვის წესი

შრომის პირობების დაწესების ან შეცვლის საკითხებზე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტსა და ადმინისტრაციას შორის წამოჭრილი უთანხმოება გადაწყდება ზემდგომი სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოების მიერ ადმინისტრაციის, შრომითი კოლექტივისა და პროფკავშირის კომიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობით“;

მუნ. ეროვნული ბიბლიოთეკა

35) 220-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 220.** საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობის ფორმები

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მართვაში მუშა-მოსამსახურენი მონაწილეობენ შრომითი კოლექტივების საერთო კრებების (კონფერენციების) და შრომითი კოლექტივების საბჭოების, პროფესიული კავშირების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახალხო კონტროლის ორგანოების და შრომითის კოლექტივში მოქმედი სხვა საზოგადოებრივი ორგანოების მეშვეობით“;

36) 223-ე მუხლში:

პირველი ნაწილის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4) პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების არჩევით ორგანოებთან ერთად მონაწილეობს შრომითი კოლექტივის საბჭოს მიერ სოციალისტური შეჯიბრების პირობების დამტკიცებასა და მისი შედეგების შეჯამებაში. ადმინისტრაციასთან ერთად აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას. ფართო პოპულარიზაციას უწევს მის შედეგებს, აირცელებს მოწინავე გამოცდილებას — სოციალისტური შეჯიბრებისათვის განკუთვნილ პრემირების მთელ სახსრებს ხარჯავს საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელი საწარმოს, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით“;

მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელ სამეურნეო თანამდებობებზე დანიშვნას, თუ ამ თანამდებობების დაკავება არჩევნების გზით არ ხდება, ახორციელებს ადმინისტრაცია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტის აზრის გათვალისწინებით“;

37) 228-ე მუხლში:

სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 228.** დამატებითი გარანტიები არჩევითი პროფკავშირული მუშაკებისა და შრომითი კოლექტივების საბჭოების წევრებისათვის“;

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„შრომითი კოლექტივის საბჭოს წევრები ადმინისტრაციის ინიციატივით არ შეიძლება გადაყვანილ იქნენ სხვა სამუშაოზე ან მათ დაედოთ დისციპლინური სასჯელი შრომითი კოლექტივის საბჭოს თანხმობის გარეშე. შრომითი კოლექტივის საბჭოს წევრების დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით, დათხოვნის საერთო წესის დაცვის გარდა, შეიძლება მხოლოდ შრომითი კოლექტივის საბჭოს თანხმობით“;

38) დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის III-ა და XVI-ა თავები:

„თავი III-ა

გამონთავისუფლებული მუშაკების დასაქმების უზრუნველყოფა

მუხლი 42[1]. გამონთავისუფლებული მუშაკების შრომის უფლების უზრუნველყოფის გარანტიები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშები და მოსამსახურეები შეიძლება გამონთავისუფლებულ იქნენ საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან მათი საქმიანობის შეწყვეტის, მუშაკთა რაოდენობის ან შტატის შემცირების გამო.

გამონთავისუფლებული მუშაკების შრომის უფლება გარანტირებულია:

სხვა სამუშაოს მიცემით იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში;

წინანდელი პროფესიის, სპეციალობის, კვალიფიკაციის მიხედვით სამუშაოს მიცემით სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, ხოლო ასეთის უქონლობისას — სხვა სამუშაოს მიცემით პირადი სურვილისა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით;

ახალი პროფესიების (სპეციალობების) შესწავლის შესაძლებლობის მიცემით შესაბამისი სამუშაოთი დაკმაყოფილებასთან ერთად.

მუხლი 42[2]. მუშაკების გამონთავისუფლების წესი

მოსალოდნელი გამონთავისუფლების შესახებ მუშაკებს პერსონალურად აფრთხილებენ არა უგვიანეს ორი თვით ადრე.

რაოდენობის ან შტატის შემცირების გამო მუშაკების გამონთავისუფლების დროს მხედველობაში მიიღება კანონმდებლობით გათვალისწინებული სამუშაოზე დატოვების უპირატესი უფლება.

რაოდენობის ან შტატის შემცირების გამო დათხოვნის შესახებ გაფრთხილებასთან ერთად ადმინისტრაცია მუშაკს იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში სთავაზობს სხვა სამუშაოს. შესაბამისი პროფესიის ან სპეციალობის მიხედვით სამუშაოს უქონლობის, აგრეთვე იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით მუშის ან მოსამსახურის უარის ჰემთხვევაში, მუშაკი, თავისი შეხედულებისამებრ, დასახმარებლად მიმართავს შრომითი მოწყობის ორგანოს ან დამოუკიდებლად მოეწყობა სამუშაოზე. იმავდროულად ადმინისტრაცია შრომითი მოწყობის ორგანოს აცნობებს მუშაკის მოსალოდნელი გამონთავისუფლების შესახებ მისი პროფესიის, სპეციალობის, კვალიფიკაციისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის მითითებით.

შრომითი მოწყობის ორგანო მუშას ან მოსამსახურეს მისი პროფესიის, სპეციალობის, კვალიფიკაციის მიხედვით შესთავაზებს სამუშაოს ტერიტორიულად იმავე ან სხვა ადგილს, ხოლო ასეთის უქონლობისას — შეურჩევს სხვა სამუშაოს პირადი სურვილისა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. საჭიროებისას მუშაკი, მისი თანხმობით, შეიძლება გაიგზავნოს ახალი პროფესიის (სპეციალობის) შესასწავლად, ამასთან შემდგომში უნდა მიეცეს სამუშაო.

მუხლი 42[3]. შეღავათები და კომპენსაციები გამონთავისუფლებული მუშაკებისათვის

საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან გამონთავისუფლებულ მუშაკებს რაოდენობის ან შტატის შემცირების ღონისძიებათა განხორციელების გამო შრომის ხელშეკრულების **მოშლისას:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) ეძლევათ გასასვლელი დახმარება ერთი თვის საშუალო ხელფასნაოდენობით;

2) შეუნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი შრომითი მოწყობის დროისათვის, მაგრამ დათხოვნის დღიდან არა უმეტეს ორი თვის განმავლობაში, გასასვლელი დახმარების მიცემის გათვალისწინებით;

3) შრომითი მოწყობის ორგანოს გადაწყვეტილებით, გამონაკლისის წესით, შრომითი მოწყობის დროისათვის მუშაკს შეუნარჩუნდება საშუალო ხელფასი დათხოვნიდან მესამე თვის განმავლობაშიც, თუ მან წინასწარ (დათხოვნიდან ორი კვირის ვადაში) მიმართა აღნიშნულ ორგანოს და ამ უკანასკნელმა ვერ მოაწყო იგი სამუშაოზე.

თვიური გასასვლელი დახმარება და შენარჩუნებული საშუალო ხელფასი გაიცემა წინანდელ სამუშაო ადგილას.

აღნიშნულ მუშაკებს შეუნარჩუნდებათ განუწყვეტელი შრომის სტაჟი, თუ დათხოვნის შემდეგ წყვეტილი მუშაობის ხანგრძლივობა სამ თვეს არ აღემატება.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის დროს გამონთავისუფლებულ მუშაკებს შრომითი მოწყობის განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა, შეუნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი თვიური გასასვლელი დახმარების გათვალისწინებით და განუწყვეტელი შრომის სტაჟი.

გამონთავისუფლებულ მუშაკებს კანონმდებლობის შესაბამისად მიეცემათ აგრეთვე სხვა შეღავათები და კომპენსაციები“;

„თავი XVI-ა

შრომითი კოლექტივი

მუხლი 228[1]. შრომითი კოლექტივის თვითმმართველობა შრომის დარგში

შრომითი კოლექტივი, რომელიც საწარმოს სრულუფლებიანი პატრონპატრონია, დამოუკიდებლად წყვეტს საწარმოო და სოციალური განვითარების ყველა საკითხს. კანონმდებლობის შესაბამისად შრომითი კოლექტივი ახორციელებს შრომის ორგანიზაციის, ნორმირების, ანაზღაურებისა და დაცვის ღონისძიებებს. სოციალისტური თვითმმართველობა ხორციელდება ფართო საჯაროობის პირობებში დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შემუშავებასა და მათს შესრულებაზე კონტროლში მთელი კოლექტივისა და მისი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობის, ხელმძღვანელთა არჩევითობისა და საწარმოს მართვაში ერთმმართველობის გზით.

თვითმმართველობას ახორციელებენ საწარმოების, გაერთიანებების სტრუქტურული ერთეულების შრომითი კოლექტივები, ქვეგანაყოფებისა და ბრიგადების კოლექტივები.

მუხლი 228[2]. შრომითი კოლექტივის საერთო კრების (კონფერენციის) უფლებამოსილება შრომის დარგში

შრომითი კოლექტივის საერთო კრება (კონფერენცია) ირჩევს საწარმოს ხელმძღვანელს, შრომითი კოლექტივის საბჭოს და ისმენს ანგარიშებს მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმიანობის შესახებ, განიხილავს და ამტკიცებს საწარმოს ეკონომიკურ-სოციალური განვითარების გეგმებს, კისრულობს სოციალისტურ ვალდებულებებს, იწონებს კოლექტიურ ხელშეკრულებას, ამტკიცებს შრომის შინაგანაწესს და განიხილავს შრომის დარგში საწარმოს საქმიანობის სხვა ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს.

შრომითი კოლექტივის უფლებამოსილების ფარგლებში და კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილებანი სავალდებულოა კოლექტივის წევრებისა და ადმინისტრაციისათვის, აგრეთვე ზემდგომი სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებისათვის.

მუხლი 228[3]. შრომითი კოლექტივის საბჭოს უფლებამოსილება

შრომითი კოლექტივის საერთო კრებებს (კონფერენციებს) შუა პერიოდში მის უფლებამოსილებას ახორციელებს შრომითი კოლექტივის საბჭო.

შრომითი კოლექტივის საბჭო:

კონტროლს უწევს შრომითი კოლექტივის საერთო კრებების (კონფერენციების) გადაწყვეტილებების შესრულებას, მუშების, მოსამსახურეების კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციას, აცნობებს შრომითს კოლექტივს მათი შესრულების შესახებ;

ისმენს ადმინისტრაციის ინფორმაციას გეგმებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ, ხახავს საწარმოს უფრო ეფექტიანად მუშაობის, სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვის ხელშემწყობ ღონისძიებებს;

პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების არჩევით ორგანოებთან ერთად ამტკიცებს სოციალისტური შეჯიბრების პირობებს და აჯამებს მის შედეგებს;

წყვეტს წარმოების მართვისა და ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის, მუშაკების პირად წვლილთან მათი შრომის ნაყოფიერების შესაბამისობის უზრუნველყოფის და სოციალური სიკეთის სამართლიანად განაწილების საკითხებს;

იღებს გადაწყვეტილებებს წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, მატერიალური წახალისების, სოციალური განვითარების ფონდების გამოყენების, საცხოვრებელი სახლების, საბავშვო დაწესებულებების, სასადილოების მშენებლობისათვის. შრომის პირობებისა და მისი დაცვის, მუშების, მოსამსახურეების სამედიცინო, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის სახსრების წარმართვის შესახებ, წყვეტს კოლექტივის სოციალური განვითარების სხვა საკითხებს;

წყვეტს კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, საწარმოში შრომის შინაგანაწესის, სახელმწიფო, საწარმოო და შრომის დისციპლინის დაცვის საკითხებს, სახავს მისი განმტკიცების ღონისძიებებს;

ახორციელებს კონტროლს მატერიალური წახალისებისა და სოციალური განვითარების ფონდების სახსრების ხარჯზე წარმოების ნოვატორების, მოწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავეების, ომისა და შრომის ვეტერანებისათვის შეღავათებისა და უპირატესობების მიცემისაღმი;

ისმენს ქვეგანაყოფთა კოლექტივების წარმომადგენლების ინფორმაციას, შეაქვს წინადადებები შრომაში წარმატებებისათვის მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებათა გამოყენების შესახებ, განიხილავს სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენის საკითხებს;

წყვეტს წარმოებების, საამქროების, განყოფილებების, უბნების და სხვა ქვეგანაყოფების კოლექტივთა საბჭოების არჩევის საკითხებს და განსაზღვრავს მათს უფლებებს საწარმოს (გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის) შრომითი კოლექტივის საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში;

წყვეტს საწარმოო და სოციალური განვითარების სხვა საკითხებს, თუ ისინი არ განეკუთვნებიან შრომითი კოლექტივის კრების (კონფერენციის) კომპეტენციას.

შრომითი კოლექტივის საბჭო მუშაობს ადმინისტრაციასთან, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტში.

შრომითი კოლექტივის საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიღებულია მისი უფლებამოსილების ფარგლებში და კანონმდებლობის შესაბამისად, სავალდებულოა ადმინისტრაციისა და კოლექტივის წევრებისათვის. თუ ადმინისტრაცია არ ეთანხმება შრომითი კოლექტივის საბჭოს გადაწყვეტილებას, საკითხი გადაწყდება შრომითი კოლექტივის საერთო კრებაზე (კონფერენციაზე).

მუხლი 228[4]. ხელმძღვანელების არჩევნები შრომითს კოლექტივებში

საწარმოების, გაერთიანებათა სტრუქტურული ერთეულების, ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებს, აგრეთვე ოსტატებსა და ბრიგადირებს ირჩევენ შესაბამისი კოლექტივის საერთო კრებაზე (კონფერენციაზე) და ამტკიცებენ დადგენილი წესით. თუ კოლექტივის არჩეულ კანდიდატურას ზემდგომი ორგანო არ დაამტკიცებს, ჩატარდება ახალი არჩევნები. ამასთან ზემდგომი ორგანო მოვალეა განუმარტოს კოლექტივს არჩევნების შედეგების დამტკიცებაზე უარის თქმის მიზეზები.

საწარმოების, გაერთიანებათა სტრუქტურული ერთეულების არჩეული ხელმძღვანელები თანამდებობიდან შეიძლება ვადამდე გაანთავისუფლონ შრომითი კოლექტივის საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილების ან მისი რწმუნებით — შრომითი კოლექტივის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო ქვეგანაყოფების ხელმძღვანელები, ოსტატები და ბრიგადირები — შესაბამისი კოლექტივის გადაწყვეტილებით. კოლექტივის გადაწყვეტილება კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლებით საწარმოებისა და გაერთიანებათა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ვადამდე განთავისუფლების შესახებ უნდა აღსრულოს ზემდგომმა ორგანომ, ხოლო ქვეგანაყოფების ხელმძღვანელების, აგრეთვე ოსტატებისა და ბრიგადირების მიმართ — საწარმოს ხელმძღვანელმა. ხელმძღვანელების, ოსტატების საჩივრებს სამუშაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან განთავისუფლების, ხოლო ბრიგადირებისა — ბრიგადის ხელმძღვანელობიდან განთავისუფლების შესახებ ერთობლივად განიხილავენ ზემდგომი სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოები.

უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდგე ხელმძღვანელები, აგრეთვე ოსტატები და ბრიგადირები შეიძლება ხელახლა იქნენ არჩეული ან მათ მიეცემათ სხვა სამუშაო ამ კოდექსის 109-ე მუხლით დადგენილი გარანტიების დაცვით.

მუხლი 228[5]. სამეურნეო საქმიანობის შედეგებით შრომითი კოლექტივის მატერიალური დაინტერესების ზოგადი პრინციპები

მიღწევები და დანაკარგები საწარმოს მუშაობაში უშუალო გავლენას ახდენენ კოლექტივის სამეურნეო ანგარიშით მიღებული შემოსავლის დონეზე, ყოველი მუშაკის კეთილდღეობაზე. საწარმო, რომელიც უზრუნველყოფს ნაკლები დანაკარგებით საუკეთესო პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოებასა და რეალიზაციას, სამეურნეო ანგარიშით მიიღებს მეტ შემოსავალს და უპირატესობას თავის საწარმოო და სოციალურ განვითარებასა და მუშაკების შრომის ანაზღაურებაში.

სხვა ორგანიზაციებისა და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება, ჯარიმების, პირგასამტეხლოებისა და კანონმდებლობით დადგენილი სხვა სანქციების გადახდევინება ხდება კოლექტივის სამეურნეო ანგარიშით მიღებული შემოსავლის ხარჯზე. ადმინისტრაცია განსაზღვრავს საწარმოსათვის მიყენებულ ზარალში ბრალეულ კონკრეტულ ქვეგანაყოფებსა და მუშაკებს, აცნობებს ამის შესახებ შრომითის კოლექტივს და კონკრეტულ ქვეგანაყოფებსა და მუშაკებს, კანონმდებლობის შესაბამისად დააკისრებს ქონებრივ (მატერიალურ) პასუხისმგებლობას.

მუხლი 228[6]. ბრიგადის კოლექტივის ფორმირება

ბრიგადაში ახალი მუშაკები ჩაირიცხებიან ბრიგადის კოლექტივის თანხმობით. დაუშვებელია ბრიგადის უარი კანონმდებლობის შესაბამისად (ახალგაზრდა სპეციალისტების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებელთა კურსდამთავრებულების და სხვ.) შრომითი მოწყობის წესით ბრიგადაში გაგზავნილი მუშაკების ჩარიცხვაზე.

ბრიგადის კოლექტივს უფლება აქვს ადმინისტრაციას მოსთხოვოს ბრიგადის შემადგენლობიდან მუშაკების გამოყვანა ბრიგადის რაოდენობის შემცირების, შესასრულებელი სამუშაოსათვის მუშაკის შეუფერებლობის შემთხვევებში და ამ კოდექსის 34-ე მუხლით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. ადმინისტრაცია, კანონმდებლობის შესაბამისად, ასეთ მუშაკებს, მათი თანხმობით, გადაიყვანს სხვა სამუშაოზე ან დაითხოვს დადგენილი წესით.

მუხლი 228[7]. ბრიგადაში კოლექტიური ხელფასის განაწილება შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენებით

ბრიგადის კოლექტივის კოლექტიური ხელფასი შეუძლია გაანაწილოს შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენებით. ბრიგადის წევრებს კოეფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციენტებს უმტკიცებს ბრიგადის კოლექტივი ბრიგადირის (ბრიგადის საბჭოს) წარდგინებით.

შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენებისას მუშაკის ხელფასი არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები (მუხლი 76-ე).

მუხლი 228[8]. ადმინისტრაციისა და ბრიგადის ურთიერთპასუხისმგებლობა საწარმოს, გაერთიანების, სტრუქტურული ქვედანაყოფების ადმინისტრაცია პასუხს აგებს ბრიგადის წინაშე მაღალნაყოფიერი შრომის ნორმალური პირობების შექმნისათვის (სამუშაოს მიცემა, მექანიზმებისა და მოწყობილობის გამართული მდგომარეობის, ტექნიკური დოკუმენტაციით, მასალებითა და ინსტრუმენტებით, ენერგიით უზრუნველყოფა, შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნა). ადმინისტრაციის ბრალით ბრიგადის მიერ საწარმოო მაჩვენებლების შეუსრულებლობისას ბრიგადა ინარჩუნებს სატარიფო ვანაკვეთების მიხედვით გაანგარიშებულ შრომის ანაზღაურების ფონდს. ბრიგადის წინაშე ადმინისტრაციის ვალდებულებათა დარღვევაში ბრალეულ თანამდებობის პირებს დაეკისრებათ დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო ბრიგადისთვის ზედმეტი ფულადი თანხების გაცემისას — აგრეთვე მატერიალური პასუხისმგებლობა საწარმოს წინაშე კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

ბრიგადა საწარმოს ადმინისტრაციის წინაშე პასუხს აგებს მისი ბრალით საწარმოო მაჩვენებლების შეუსრულებლობისათვის. ასეთ შემთხვევებში ანაზღაურდება შესრულებული სამუშაო, პრემიები და სხვა წასახალისებელი თანხები არ დაირიცხება. ბრიგადის ბრალით უხარისხო პროდუქციის გამოშვებით საწარმოსათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურდება მისი კოლექტიური ხელფასიდან ბრიგადის საშუალო თვიური ხელფასის ფარგლებში. ბრიგადის წევრებს შორის კოლექტიური ხელფასის განაწილებისას გაითვალისწინება უხარისხო პროდუქციის გამოშვებაში კონკრეტული მუშაკების ბრალი".

II. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის XVI-ა თავის „შრომითი კოლექტივი" დებულებები საწარმოებსა და ორგანიზაციებზე გავრცელდება „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ" სსრ კავშირის კანონთან ერთად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 24 მარტი.
№ 1649—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

42 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და დამნაშავეობასთან ბრძოლაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“** დაჯილდოვდნენ:

კლიმენტი ვასილის ძე **ბუჯიაშვილი** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საორგანიზაციო-საინსპექტორო განყოფილების უფროსი.

ივანე ვლადიმერის ძე **ჭელიძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული კომიტეტის მდივანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 29 მარტი.
№ 1652—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

43 ამხ. გ. ა. ზგერსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარებში უმწიკვლო, ნაყოფიერი სამსახურისა და რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი გენადი ანატოლის ძე **ზგერსკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 10 მარტი.
№ 1617—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

44 ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამხედრო მოსამსახურეთა ზნეობრივ, სამხედრო-პატრიოტულ, ინტერნაციონალურ აღზრდაში წვლილისათვის და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 70 წლისთავთან დაკავშირებით ამიერკავკასიის **წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1634—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

45 ზ. ვ. სოლოვიოვის სახელობის საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამკურნალო-დიაგნოსტიკურ მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამედიცინო სამსახურის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 70 წლისთავთან დაკავშირებით **ზ. ვ. სოლოვიოვის სახელობის საოლქო სამხედრო ჰოსპიტალი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1629—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

46 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კულტურის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდნენ:**

ელეონორა ვიქტორის ასული **ბუანა** — აფხაზეთის ასსრ ა. პაპასკირის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი.

ნატალია არჩილის ასული **კანდელაკი** — ამიერკავკასიის რკინიგზელთა კულტურის სასახლის თეატრალური სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი.

შოთა ილიკოს ძე **ჩიქვილაძე** — ქ. ჭიათურის მეტალურგთა კულტურის სასახლის სამხატვრო ხელმძღვანელი.

ვივი ალექსის ძე **წიკლაური** — დაბა კოჩუბეის ყიზლარის ზამთრის საძოვრების კულტურის სახლის დირექტორი.

იაგი ივქსენტის ძე **ჯოლოხავა** — ენგურჰესის მშენებლობის კულტურის სასახლის დირექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1638—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

47 ამხ. დ. ნ. დვალიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ამხ. დემურ ნოეს ძე **დვალიშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1621—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

48 ამხ. ი. დ. ზაიცევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მაღალი მაჩვენებლებისათვის და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 70 წლისთავთან დაკავშირებით ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილე საბრძოლო მომზადების დარგში — საბრძოლო მომზადების სამმართველოს უფროსი ამხ. იური დიმიტრის ძე **ზაიცევი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ძპარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1625—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

49 ამხ. ს. გ. იაცუკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისათვის რეზერვების ჯარგარეშე მომზადებაში დამსახურებისათვის და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 70 წლისთავთან დაკავშირებით ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე ჯარგარეშე მომზადებისა და უმაღლესი სასწავლებლების დარგში ამხ. სერგი გრიგოლის ძე **იაცუკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ძპარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1622—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

50 ამხ. ლ. ს. კიბაბიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ეკონომიკის განყოფილების გამგე ამხ. ლეონიდ სოფრომის ძე **კიბაბიძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1628—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

51 ამხ. ნ. ი. კიკვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის დირექტორი ამხ. ნოდარ ირაკლის ძე **კიკვაძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი
№ 1626—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

52 ამხ. ტ. ვ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დამსახურების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ტარიელ ვლადიმერის ძე **ლორთქიფანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1620—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

53 ამხ. გ. ი. სიანსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობისათვის და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 70 წლისთავთან დაკავშირებით ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების უფროსი ამხ. გენადი ივანეს ძე **სიანსკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1624—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

54 ამხ. ზ. ვ. ჯიოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში აქტიური ნაყოფიერი მუშაობისათვის და დამბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცხინვალის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ფელიქს ვლადიმერის ძე **ჯიოევი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ცვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1623—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

55 ამხ. კ. ვ. ჯობავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დამბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. კარლინგ ვალერიანის ძე **ჯობავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ცვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1627—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

56 **ამხ. ნ. მ. ბურმისტროვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი, თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მსახიობი ნატალია მიხეილის ასული **ბურმისტროვა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 24 მარტი.
№ 1648—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

57 **ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამედიცინო სამსახურის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

მედიცინის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **„საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“** საპატიო წოდება:

იური არტემის ძე **გეგეჭკორს** — საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის ქირურგიული განყოფილების უფროსს.

ივანე ტერენტის ძე **ლატინს** — ოლქის მთავარ ანესთეზიოლოგს.

ვლადიმერ პეტრეს ძე **ლუკოშკინს** — ოლქის სამედიცინო სამსახურის უფროსის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1636—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

58 კულტურის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კულტურის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის მიენიჭოთ **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება:

ვაჟა ბარნაბის ძე **გოგოლაძეს** — ჩოხატაურის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს.

ნადეჟდა თევდორეს ასულ **გრეკოვას** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კულტურის სასახლის რუსული თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივის ხელმძღვანელს.

რევაზ ამბერკის ძე **ყორჟოლიანს** — ქ. ტყიბულის მეშახტეთა კულტურის სასახლის სამხატვრო ხელმძღვანელს.

ალბერტ პერჩის ძე **სარქისიანს** — ქუთაისი ხალხური ცეკვის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელს.

ნიკო გიგოს ძე **წერეთელს** — ზესტაფონის ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილეს, სახალხო თეატრის მსახიობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. **აპარაცხელია.**

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1639—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

59 „საქართველოს სსრ ფიზიკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში წვლილისათვის მიენიჭოთ **„საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება:

შოთა დავითის ძე ბუაძეს — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანატოლი ვლადიმერის ძე **კალინინს** — საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1637—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

60 ამხ. ა. ნ. გრაბოვოისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მუსიკალური ხელოვნების პროპაგანდაში წარმატებებისათვის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მუსიკალურ ხელმძღვანელს ამხ. ანატოლი ნიკოლოზის ძე გრაბოვოის მიენიჭოს „**საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის**“ **საპატიო** წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1631—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

61 ამხ. ლ. ჯ. პაპინაშვილისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის ამიერკავკასიის რეგიონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ამხ. ლამარა კონსტან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტინეს ასულ პაპინაშვილს მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სოფლის ეკონომიკის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1630—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

62 ამხ. ა. ა. სარქისოვისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სკკპ პოლიტიკის პროპაგანდისათვის გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტ-სამმართველოსთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის გამგეს ამხ. ალექსანდრე ანდრიას ძე **სარქისოვს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1632—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

63 ამხ. ი. შ. ცხოვრებაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამხედრო პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში დამსახურებისათვის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორის თანაშემწეს ამხ. იოსებ შალიკოს ძე **ცხოვრებაშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 21 მარტი.
№ 1633—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ენერგეტიკის კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ გზაფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ბ. ლობანიძის მოხსენება და დეპუტატთა ჯგუფის თანამოხსენება რესპუბლიკაში გზასადენების მშენებლობის მეთორმეტე ხუთწლედის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში გარკვეული ღონისძიებები ხორციელდება ქალაქებისა და სოფლების, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფისთვის.

ამასთან ერთად კომისიამ აღნიშნა, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებებია.

არ სრულდება გაზსადენების მშენებლობისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისების გეგმები. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა რესპუბლიკის დასახლებულ პუნქტებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბუნებრივი გაზსადენების გაყვანის საქმეში. საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზმა“ 1986—1987 წლების გაზსადენების კაპიტალური მშენებლობის გეგმა შეასრულა მხოლოდ 82 პროცენტით, კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებისა — 81,5 პროცენტით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების — 96 პროცენტით, რის გამო ვერ განხორციელდა გაზსადენების ფოთისა და ბაკურიანის განშტოებათა მშენებლობა. გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტს აუთვისებელი აქვს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის გეგმით გათვალისწინებული თანხის ნაწილი.

1986—1987 წლებში საბჭოთა მეურნეობებში საექსპლუატაციოდ უნდა გადაცემულიყო 184,7 კმ საერთო სიგრძის გაზსადენები, აქედან 67,7 კმ — სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის, ხოლო 117 კმ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის მიერ. გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტმა დავალება გადაჭარბებით შეასრულა, ხოლო აგროსამრეწველო კომიტეტს თითქმის არაფერი გაუკეთებია. დასახლებული პუნქტების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გაზიფიკაციის გეგმების შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია საჭირო რაოდენობის მილების, მოწყობილობისა და სპეციმასალების უკმარისობით, აგრეთვე რიგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრების სიმცირით.

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ მთელ რიგ დასახლებებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში გაზსადენის ქსელების მშენებლობა დაწყებულია უგეგმოდ, სათანადო მასალების უქონლობის გამო ბევრი მათგანის მშენებლობა შეჩერებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილება სათბობის რეჟიმების შესაბამისად თბოგადაცემების ბუნებრივ გაზზე გადაყვანის ნაწილში.

სათანადო მასალების უკმარისობისა და სხვადასხვა მიზეზების გამო არადამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობს რეგიონების წარმოება-დაწესებულებათა უწრუნველყოფა ბუნებრივი გაზით.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები საჭირო კონტროლს არ აწესებენ გაზსადენების დაცვის ზონაში ნაგებობათა მშენებლობისა და მრავალწლიანი ნარგავების გაშენების აკრძალვის თაობაზე კანონმდებლობის დაცვისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ენერგეტიკის კომისიამ საჭირო რჩევა მისცა საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს, საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზს“, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ეთხოვა განიხილოს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის კაპიტალური მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მთავარი სამმართველოს წინადადება რესპუბლიკის სოფლების გაზიფიკაციის ობიექტებზე დამკვეთის ფუნქციების მთლიანად საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტისათვის გადაცემის შესახებ იმ პირობით, რომ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა ცენტრალიზებულად ყოველწლიურად განსაზღვროს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა და შეადგინოს ასაშენებელი ობიექტების ნუსხა.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიამ მოისმინა რა საკითხი „სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების გამოსაყენებლად თერჯოლის რაიონის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების მუშაობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის 1987 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აღნიშნა, რომ თუმცა თერჯოლის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა და აღმასკომებმა დეპუტატთა ფორმირებების, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების, ფართო აქტივის მონაწილეობით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს კომისიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შესასრულებლად, სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარებისა და შესაბამისი ღონისძიებებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების თვისების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის 1987 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ რეკომენდაციათა განხორციელების საქმეში თერჯოლის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოებს კვლავ აქვთ ნაკლოვანებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგებმო-საბიუჯეტო კომისიამ ირეკომენდაციას მისცა:

თერჯოლის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, მათს შესაბამის განყოფილებებსა და სამსახურებს:

სისტემატურად იზრუნონ რაიონის მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლებისა და ამ მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების სრულად და დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის; ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობით მიიწიონ მოსახლეობის აქტიურ ჩაბმას სახალხო დეპუტატთა საბჭოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებისა და სხვა ამოცანების განხორციელების საქმეში;

მეურნეობრიობის ახალ პირობებში „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებსა და გაერთიანებებთან ერთად გამოძებნონ დამატებითი ფინანსური და მატერიალური რესურსები სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და სარემონტო სამუშაოების ჩატარებისათვის, მათთვის საჭირო ინვენტარ-მოწყობილობათა შესაძენად.

რესპუბლიკის განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებს, ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს, ცეკავშირის გამგეობას:

დაინტერესდნენ თერჯოლის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული თავიანთი დაქვემდებარების ობიექტებისა და დაწესებულებების საქმიანობით, დახმარება გაუწიონ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და მომსახურების კულტურის დონის ამაღლებაში;

— თერჯოლის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად მიიღონ ზომები ღვანკითის, სიქთარვის, ოდილაურის სასოფლო კლუბების, ჩხარი-ეწერის, სიმონეთისა და ტელეფის სოფლის ბიბლიოთეკების, ზედა სიმონეთის, ჭოკნარის, ნახშირღელის და ძევრის სამედიცინო ამბულატორიების კაპიტალური შეკეთების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის გაფართოების, მომსახურების კულტურის და მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლების და სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფისათვის;

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს — პერიოდულად შეისწავლოს და განიხილოს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებში სოციალურ-კულტურული დანიშნულებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების გამოყენების მდგომარეობა.